სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	კავკასიოლოგია/ Caucasiology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	კავკასიოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Caucasiology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**240 ECTS კრედიტი** ➢ **50 ECTS** კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზო სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს. ➢ **120 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის). ➢ **60 ECTS** კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს 60 კრედიტი გამოიყენოს თავისი ან სხვა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების/მოდულების შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა ან ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია კრედიტების გარკვეული რაოდენობა (მაქს. 40 კრედიტი) გამოიყენოს უცხო ენის შესასწავლად ან უცხო ენის ცოდნის გასაღმავებლად. ➢ **10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი პროფესიული თუ

	პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის, უცხო ენა). **ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობის 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:** **35 ECTS** კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, **40 ECTS** მოდუილის სავალდებულო საგნებს; **35 ECTS** კრედიტი – სპეციალობის არჩევით საგნებს, ხოლო **10 ECTS** კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომს. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის კოორდინატორი	პროფ. მერაბ ჩუხუა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	კავკასიოლოგიის განახლებულ საბაკალავრო პროგრამას აქვს იმის ამბიცია, რომ გახდეს ინტერდისციპლინური და მოიცავდეს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კავკასიელი ხალხის ენისა და ისტორიის შესწავლას, არამედ განიხილავდეს მათ როლსა და ადგილს ზოგადად რეგიონის ჭრილში. იმისათვის, რომ კავკასიოლოგიის დარგი და, შესაბამისად, პროგრამა გამხდარიყო უფრო საინტერესო, მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი, პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთდა XXI საუკუნეზე და დღეს შექმნილ ახალ რეალობაზე ზოგადად კავკასიის რეგიონში: აქ არსებულ გამოწვევებზე, ასევე ჩრდ. და სამხ. კავკასიაში მომხდარ და მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე. კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა კომპლექსურად შეისწავლის კავკასიის რეგიონს – კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს, მათ ენებს (იბერიულ–კავკასიურ ენებს: ჩერქეზულს, აფხაზურს, უბიხურს, ჩეჩნურს, ინგუშურს, ბაცბურს, ხუნძურს, ანდიურს, დიდოურს, ლაკურს, არჩიბულს, უდიურს, თაბასარანულს, ლეზგიურს და რეგიონის არაიბერიულ-კავკასიურ აზერბაიჯანულ და ოსურ ენებს, ასევე პალეოკავკასიური წარმომავლობის ძველ ცივილიზაციათა ენებს: ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული, შუმერული, კასიტური...;

	იბერიულ–კავკასიური, არეალური და პალეოკავკასიური ლინგვისტიკის საფუძვლებს; კავკასიის ხალხთა ისტორიასა და კულტურას, კავკასიელთა როლს კაცობრიობის წინარეკულტურათა (ცივილიზაციათა) ჩასახვასა და დამკვიდრებაში, ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის ძირითად და პრობლემურ საკითხებს (კავკასიის ეთნოლინგვისტიკა, მითოლოგია-ეთნოლოგია, კავკასიის არქეოლოგია, კავკასიის ხალხთა ფოლკლორი და ლიტერატურა) და ფიზიკური ანთროპოლოგიის საკვანძო პრობლემებს. პროგრამა აბსოლუტურად ნოვატორული და უნიკალურია იბერიულ-კავკასიური ენებისა და ეთნოსების ბასკურ, ხათურ, ჰურიტულ-ურარტულ, ეტრუსკულ და შუმერულ ენებთან და კულტურებთან გენეტიკური მიმართების სწავლების თვალსაზრისითაც. მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებშია შესაძლებელი კავკასიისა და მომიჯნავე (გარემომცველი) რეგიონების ხალხთა ენებისა და კულტურების ერთიანი სურათის ჩვენება/სწავლება. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამა 7 მოდულითაა წარმოდგენილი: 1. აფხაზოლოგია, 2. ჩერქეზოლოგია, 3. ნახოლოგია, 4. დაღესტნოლოგია, 5. ოსოლოგია; 6. აზერბაიჯანოლოგია; 7. კავკასიის ხალხთა ისტორია. **კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია** თანამედროვე შრომის ბაზრისა და აკადემიური სივრცის, ასევე დარგში საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისი, ფართო ჰუმანიტარული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი კავკასიოლოგის (ლინგვისტი, ისტორიკოსი), მომზადება, რომელსაც ექნება სათანადო დარგობრივი უნარები და კომპეტენციები ისტორიულ-ფილოლოგიური განხრით. პროგრამის მიზანია 1. გამოუმუშავოს სტუდენტებს მსოფლმხედველობის მთლიანობა კავკასიის ხალხთა წარმოშობა-ჩამოყალიბება-განვითარებაზე; 2. ადეკვატური წარმოდგენა შეუქმნას იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის გლოტოგენეზისზე; 3. თვალსაჩინოდ გამოკვეთოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სახელმწიფოებრიობის, კულტურულ-ცივილიზაციური ევოლუციის საკვანძო ასპექტები და თავისებურებები არქაული პერიოდებიდან დღემდე; 4. ისტორიულ-შედარებითი და დესკრიფციული

	ლინგვისტიკის, ისტორიული მეცნიერების განხრით კი მეთოდოლოგიური პლურალიზმის საფუძველზე აჩვენოს კავკასიის რეგიონის პალეოკავკასიური მოდგმის ხალხთა ენების, კულტურის, ეთნოსთა ფორმირების (ლინგვო- და ეთნოგენეზისის), ისტორიული განვითარების განვლილი ეტაპები. 5. შეასწავლოს სტუდენტს კავკასიელი ადამიანის ბიოლოგიური ევოლუციის, პრეისტორიისა და კულტურის ევოლუციის პრობლემები
სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება განათლების საბაკალავრო დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგებში ასახულია ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები. კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები უზრუნველყოფენ შემდეგი შედეგების მიღწევას:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული კომპლექსურად აღწერს კავკასიის რეგიონს მისი ლინგვისტური, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, დემოგრაფიული, რელიგიური და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით; განიხილავს კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემების ხასიათს, რეგიონის ხალხთა პოლიტიკური კულტურის თავისებურებებისა და მენტალობის გათვალისწინებით; აღწერს კავკასიაში რელიგიურ-ეთიკური მოძღვრების გავლენის ხასიათს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ (სამოქალაქო) ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე და ფუნქციონირებაზე. მართებულად აფასებს კავკასიას, როგორც ისტორიულად წინარეცივილიზაციათა ჩასახვისა და სხვა ცივილიზაციებთან შეხვედრის ადგილს, გამოკვეთს იბერიულ-კავკასიურ (პალეოკავკასიურ) და არეალურ-კონტაქტურ კომპონენტებს, აღწერს კავკასიის ავტოქთონ და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში შემოსულ-დამკვიდრებულ ეთნოსებს, ზოგად-მიგრაციულ პროცესებს, მიგრაციათა გამომწვევ მიზეზებს. ჩამოთვლის კავკასიის ხალხთა ძირითად დემოგრაფიულ, სოციოკულტურულ და ეთნოპოლიტიკურ პრობლემებს. შეისწავლის ამ სფეროში სხვადასხვა მიმდინარეობების წიაღში დაგროვილ ცოდნას, განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და რეინტერპრეტაციებს კარდინალური საკითხების; აცნობიერებს პრეისტორიულ, ისტორიულ და მიმდინარე

	პროცესებს კავკასიის ხალხთა გლოტო- და ეთნოგენეზისის, პოლიტოგენეზისის სფეროში, გამოკვეთს საქართველოს ხალხის, როგორც რეგიონში კულტურთრეგერი ერის, გადამწყვეტ როლს კავკასიაში მიმდინარე მრავალფეროვან ეთნიკურ პროცესებში და საქართველოს, როგორც უწყვეტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის, წვლილს ტრადიციული კულტურისა და ენდემური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში. აფასებს კავკასიაში გავრცელებულ რელიგიათა ურთიერთ-მიმართების საკითხებს, ერთიან კულტურულ სივრცეს, მის ლინგვოკულტურულ და ისტორიულ მახასიათებლებს; თავისუფლად ორიენტირებს კავკასიის რეგიონის პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ მრავალფეროვნებაში.
გ) უნარები	პრაქტიკულად იყენებს ერთ-ერთ კავკასიურ ენას მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის; ასევე სხვადასხვა ტიპის ადაპტირებული ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის მიზნით. აფასებს და **აანალიზებს რეგიონთან დაკავშირებულ** ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ საკითხებსა და ისტორიულ პროცესებს, ძირითად პრობლემატიკას და გადაჭრის მათ, დარგის შესაბამისი მეთოდის გამოყენებით. **ახდენს** მოძიებული **მასალის სისტემატიზაციას და კომენტირებას**, **აყალიბებს** დასაბუთებულ **დასკვნებს** კავკასიის რეგიონის ისტორიულ-გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებზე; განაზოგადებს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და აფასებს მათ ისტორიულ კონტექსტში, ახდენს სასპეციალიზაციო სფეროს კომპლექსური პრობლემატიკის იდენტიფიცირებას სინქრონიასა და დიაქრონიაში ხედვის საფუძველზე. **არგუმენტირებულად** და **ლოგიკურად აანალიზებს** კავკასიელ ხალხთა და საქართველოს ისტორიულ-კულტურულ და თანამედროვე მიმართებებს. პროფესიული საქმიანობისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ზოგად ჰუმანიტარულ კომპეტენციებსა და ევროპული ენის ცოდნას კომპეტენტური მომხმარებლის დონეზე.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**აღიარებს** და **იცავს** პროფესიული **ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს**; **ავლენს** კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის,

	განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს. **ზრუნავს** საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, **ამყღავნებს** დამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროის მართვისა და შრომის ორგანიზების უნარს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, პრაქტიკულ მეცადინეობებზე საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს ვერბალურ, წიგნზე მუშაობის, ინდუქცია-დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით, ჯგუფურ, დისკუსიასა და დებატებში მონაწილეობის, დემონსტრირების, როლური და სიტუაციური თამაშებისა და სხვა მეთოდებს. ამასთან, სწავლების პროცესში გამოყენებულია დემონსტრირების თანამედროვე ტექნოლოგიები. დისკუსია/დებატების პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას, სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს; ჯგუფური მუშაობის სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში; ევრისტიკული მეთოდი სტუდენტს ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზას ასწავლის; როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად. დემონსტრირების მეთოდი აუდიო და ვიზუალური გზით გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. დარგობრივი ცოდნის შეძენისას პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად

	ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას და სწავლების მეთოდთა სწორად შერჩევას სამუშაო ჯგუფებში, პრაქტიკულ მეცადინეობებსა და პრეზენტაციებისას, რადგან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ხდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ

	ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. სასწავლო კომპონენტი (საბაკალავრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც სტუდენტი დაიშვება ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და საბაკალავრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე სტუდენტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და სტუდენტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და საბაკალავრო დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. საბაკალავრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.
დასაქმების სფეროები	კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ:

	• საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (საბაკალავრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მისიებში, საერთაშორისო კომპანიებში თარჯიმნის პოზიციაზე; • სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში; • კულტურის სფეროს დაწესებულებებში; • ტურიზმის სფეროში; • ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში; • საგამომცემლო დაწესებულებებსა და რედაქციებში; • მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.); • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე;
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, მასწავლებლები და მკვლევრები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან უცხოური ენების პრაქტიკუმს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და სხვ. სასპეციალიზაციო კურსებს უძღვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ძირითადი აკადემიური პერსონალი: 1. ჯონი კვიციანი ასოცირებული პროფესორი; 2. მერაბ ჩუხუა, პროფესორი, პროგრამის კოორდინატორი 3. ცირა ბარამიძე, პროფესორი; 4. რევაზ აბაშია, ასოცირებული პროფესორი; 5. ნანა მაჭავარიანი, ასოცირებული პროფესორი; ასევე თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტისა და შესაბამისი პროფილის სხვა ს/ს ინსტიტუტების აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები:

	6. ქ. ხუციშვილი, პროფესორი 7. ქ. სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი; 8. ხ. მამისიმედაშვილი, ასოცირებული პროფესორი; 9. მ. ფუთურიძე, ასოცირებული პროფესორი; 10. ე. გოგიაშვილი, ასოცირებული პროფესორი; 11. დ. კანდელაკი, ასოცირებული პროფესორი; 12. ნანი გელოვანი, პროფესორი 13. გ. გოგოლაშვილი 14. ლ. აზმაიფარაშვილი 15. რ. მარღანია 16. ნ. ანთელავა 17. შ. გაბესკირია 18. თ. უჯუხუ 19. ნ. რუხაძე 20. დ. კაკაშვილი 21. ს. ზედელაშვილი 22. ე. ასლანოვა 23. ნ. არდოტელი 24. რ. ლოლუა 25. მ. თეთრაძე 26. ო. ტიგიევი 27. ნ. ბეპიევი 28. მ. ბაკურიძე 29. ი. სულაბერიძე 30. ლ. ბითაძე 31. ნ. ახალაია 32. ნ. აბესაძე 33. მ. თეთრაძე კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის მატერიალური და ტექნიკური რესურსები (სამუშაო ოთახები, კომპიუტერული ტექნიკა, დარგობრივი ბიბლიოთეკა, ინტერნეტი და სხვ.) სავსებით შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს. პროგრამის სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს როგორც საფაკულტეტო, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო ბიბლიოთე-კებით და კომპიუტერული რესურსცენტერებით, რომლებიც უზრუნველყოფენ თავისუფალ წვდომას ციფრულ რესურსებსა და სამეცნიერო ლიტერატურის ელექტრონულ ბაზებზე.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და

	მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	